შფოთვისა და სუიციდური ტენდენციების

ურთიერთმიმართება

ქეთევან აბულაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი, ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია შფოთვისა და სუიციდური ტენდენციების ურთიერთმიმართება. დღესდღეობით აქტუალურია პიროვნული შფოთვის შესწავლა სუიციდთან მიმართებაში, რადგან სხვადასხვა კვლევებიდან გამომდინარე ამ ორ ცვლადს შორის კავშირი ფიქსირდება. კვლევის მიზანიც სწორედ ეს არის, დაადგინოს არსებობს თუ არა კავშირი პიროვნულ შფოთვასა და სუიციდურ ტენდენციებს (სუიციდური ფიქრები და მცდელობები) შორის. ასევე, შეადაროს მონაცემები საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. კვლევაში გამოყენებულია სპილბერგერის შფოთვის კითხვარის მეორე ნაწილი, სადაც პიროვნული შფოთვის დადგენაა შესაძლებელი და ბეკის სუიციდური იდეების კითხვარი, რომელიც იკვლევს სუიციდურ ფიქრებს, მცდელობებს, ქცევებსა და სამომავლო გეგმებს თვითმკვლელობაზე. ორივე თვითადმინისტრირებული კითხვარებია. კვლევაში მონაწილეობა მიიღო სულ 175 რესპოდენტმა, მათი საშუალო ასაკი იყო 25 წელი. კვლევა ჩატარდა ორ ქალაქში: თბილისსა და ახალციხეში. კვლევაში დაფიქსირდა სამი მნიშვნელოვანი შედეგი: პირველი - დადებითი კორელაცია არსებობს პიროვნულ შფოთვასა და სუიციდური იდეების მაჩვენებლებს შორის. მეორე - მდედრობოთი სქესის წარმომადგენლებში დაფიქსირდა, პიროვნული შფოთვისა და სუიციდური იდეების მაღალი მაჩვენებელი. მესამე - საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მონაცმემების შედარებამ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ გვიჩვენა. თბილისსა და ახალციხეში პიროვნული შფოთვისა და სუიციდური იდეების საშუალო მაჩვენებლები თითქმის თანაბარია.